

24.11.10

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა (მპკ) 2010 წლის 24 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტით განისაზღვრა.

ოქტომბერში წლიურმა ინფლაციამ 9.6 პროცენტი შეადგინა. ამ მონაცემში სურსათის გაძვირების წილი დაახლოებით 8 პროცენტული პუნქტია. სურსათის გაძვირება ეგზოგენური, ერთჯერადი ფაქტორების შედეგია, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ინფლაციის მოლოდინზე, თუმცა მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წინა სხდომის შემდეგ ინფლაციაზე მოქმედი რისკები არ შეცვლილა.

ბოლო თვეების განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკა, რაც ძირითადად პოლიტიკის განაკვეთების ზრდაში გამოიხატება. პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება გავლენას ახდენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. მიმდინარე ეტაპზე პოლიტიკის განაკვეთის ზრდა საპროცენტო განაკვეთებზე ჯერ სრულად ასახული არ არის.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2010 წლის 22 დეკემბერს გაიმართება.